



30 ივლისი, 2009 წ.

„სამართლიანი არჩევნების“ განცხადება

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ სადამკვირვებლო მისიის კომინოვის (მოლდავეთის რესპუბლიკა) აეროპორტში დაკავებასთან დაკავშირებით, მოლდავეთის რესპუბლიკამ დაკავების ოფიციალურ მიზეზად, დამკვირვებლების მხრიდან მოლდავეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის აკრედიტაციის არქონა დაასახელა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდამძემ განაცხადა, რომ „მოლდოვას ქონდა ლეგიტიმური უფლება, რომ მათ ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეები არ შეეშვა“ (<http://www.interpressnews.ge/ge/index.php/permalink/105207.html>).

„სამართლიანი არჩევნები“ აცხადებს, რომ კანონმდებლობის თანახმად, მოლდავეთის საზღვრის გადაკვეთისთვის საქართველოს მოქალაქეს არ ესაჭიროება არა მხოლოდ მოლდავეთის ცესკო-ს აკრედიტაცია, არამედ არც მოლდავეთის რესპუბლიკის ვიზა. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=387&v_id=88&lang_id=GEO, ასევე მოლდავეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://www.mfa.gov.md/consular-information/visas-to-moldova/#requirements>. რაც შეეხება აკრედიტაციას, მოლდავეთის ცესკო-ს აკრედიტაცია დამკვირვებლებს დასჭირდებოდათ უშუალოდ არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე მონიტორინგის განხორციელების დროს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლების დაკავების ლეგიტიმურ მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს აკრედიტაციის არქონა. მითუმეტეს, როდესაც ქვეყანაში შესვლის უფლება არ მისცეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს (რომელთაც ასევე არ ჰქონდათ მოლდავეთის ცესკო-ს აკრედიტაცია) საზღვრის გადაკვეთისას პრობლემა არ შექმნიათ.

შეგახსენებთ, რომ 2009 წლის 27 ივლისს, კომინოვის აეროპორტში (მოლდავეთის რესპუბლიკა) დაკავებს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 11 კაციანი სადამკვირვებლო მისია, რომელიც მოლდავეთის რესპუბლიკაში ჩავიდა ვადამდე საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, **არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO)** მისიის ფარგლებში. „სამართლიანი არჩევნების“ 11 წარმომადგენელი 1 დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებოდა კომინოვის აეროპორტში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საელჩოს რუმინეთში (რომელიც ასევე ფარავს მოლდავეთის რესპუბლიკას) და საერთაშორისო ორგანიზაციის (საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი) ჩარევით მოხერხდა დაკავებულების საქართველოში დაბრუნება. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოლდავეთში 17 ივლისიდან ასევე იმყოფებოდა „სამართლიანი არჩევნების“ 2 წარმომადგენელი, როგორც ENEMO-ს მისიის ძირითადი ჯგუფის თანამშრომლები მოლდავეთში. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, „სამართლიანმა არჩევნებმა“ მოლდავეთიდან გამოიწვია ორგანიზაციის აღნიშნული ორი წარმომადგენელიც. 29 ივლისს, დილის 02:45 საათზე ორგანიზაციის 13-ვე წარმომადგენელი დაბრუნდა საქართველოში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ნინო დოლიძე
ტელ: 893 998 968
ელ-ფოსტა: pr@isfed.ge

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (+995 32) 37 22 13
ფაქსი: (+995 32) 98 39 98

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge